

ნარკოლოგია

შეფასების სისტემა:

სტუდენტების შუალედური შეფასება ჩატარდება ზეპირი გამოკითხვით ყოველდღიურად, თემატურ დისკუსიაში მათი აქტიური ჩართვით.

შეფასების კომპონენტებია:

აკადემიური აქტივობა – 35 %.

ინტერაქტიური გამოკითხვა (რეფერატი-პრეზენტაცია) – 25%:

აკადემიური აქტივობა – 35%.

სემინარისთვის სტუდენტს წინასწარ ეძლევა მასალა, რომლის ცოდნის გარეშე ის ვერ შეძლებს მონაწილეობა მიიღოს გამოკითხვაში. სტუდენტის აქტივობის შეფასება ხდება თემის ირგვლივ წინასწარ შერჩეული კითხვების საფუძველზე.

ყოველდღიური გამოკითხვით სტუდენტი ფასდება 5 სემინარზე (მე-2-მე-6 დღე), თემის ირგვლივ წინასწარ შერჩეული კითხვების საფუძველზე: 2 შეკითხვა – თითო ფასდება 3 ქულით (მაქსიმალური შეფასებაა 6 ქულა). თითოეული პასუხი ფასდება შემდეგნაირად:

3 ქულა – სტუდენტი სრულად ფლობს მასალას, დასმულ კითხვებზე პასუხობს ამომწურავად;

2 ქულა – სტუდენტი ძირითადად ფლობს მასალას, თუმცა დასმულ კითხვებს ამომწურავად ვერ პასუხობს;

1 ქულა - სტუდენტის მიერ თეორიული მასალის ცოდნა არ არის ღრმა, დასმულ კითხვებზე პასუხობს მთელი რიგი უზუსტობებით;

0 – სტუდენტი დასმულ კითხვებზე ვერ პასუხობს.

პირველ დღეს დისკუსიაში მონაწილეობის უნარი ფასდება 2 ქულით: თითოეულ სტუდენტს დაესმება თითო კითხვა ლექციაზე განხილული თემის ირგვლივ.

2 ქულა – დასმულ კითხვაზე პასუხობს ამომწურავად;

1 ქულა – კითხვაზე პასუხობს ხარვეზებით;

0 ქულა – დასმულ კითხვაზე არ პასუხობს.

მეშვიდე დღეს –სტუდენტს ეძლევა პრეზენტაციის თემის ირგვლივ 2 შეკითხვა და რეფერატის თემის შესახებ – 1 შეკითხვა, თითოეული ფასდება 1-1 ქულით

ინტერაქტიური გამოკითხვა (რეფერატი-პრეზენტაცია) – 25%,

რეფერატი – 5%, პრეზენტაცია – 20%

წარმოდგენილი რეფერატი ფასდება შინაარსის მიხედვით 5 ქულის ფარგლებში:

5 ქულა - შინაარსი კარგად არის გადმოცემული, ყველა საკითხი ამომწურავად არის განხილული; 4 ქულა - შინაარსი ეხმიანება განსახილველ თემას, თუმცა ზოგიერთი საკითხი არ არის სრულად განხილული; 3 ქულა - შინაარსი ეხმიანება განსახილველ თემას, თუმცა მთლიანად რეფერატის შინაარსი ძალიან ზედაპირულია, 2 ქულა - ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი საერთოდ არ არის განხილული, შინაარსი ნაწილობრივ ეხმიანება განსახილველ თემას, 1 ქულა - შინაარსი პრაქტიკულად არ ასახავს განსახილველ თემას.

პრეზენტაციის მაქსიმალური შეფასება - 20 %

შეფასების კრიტერიუმი	ქულები
პრეზენტაციის მომზადება:	0, 1, 2, 3, 4
▪ პრეზენტაცია ასახავს ყველა საკვანძო საკითხს;	4
▪ პრეზენტაციაში გამოტოვებულია 1-2 საკითხი, მაგრამ არა ძირითადი, საკვანძო საკითხი;	3
▪ პრეზენტაციაში გამოტოვებულია 1 საკვანძო საკითხი;	2
▪ პრეზენტაცია გამოტოვებულია 2 ან მეტი საკვანძო საკითხი;	1
▪ პრეზენტაცია ძალზე ზოგადია და ნაკლებად ასახავს შინაარსს	1
▪ არ მოამზადა	0
მოხსენება:	0, 1, 2, 3, 4
▪ მოახსენა კარგად, კავშირი აუდიტორიასთან კარგია	4
▪ მოხსენებისას ზოგჯერ კითხულობს და პერიოდულად კარგავს კავშირს აუდიტორიასთან	3
▪ მოხსენებისას ძირითადად კითხულობს და კარგავს კავშირს აუდიტორიასთან	2
▪ მოხსენების გადმოცემს კითხვით და აუდიტორიასთან კავშირს ვერ ამყარებს	1
▪ უჭირს მოხსენება კითხვითაც კი	1

▪ არ მოუხსენებია	0
მოხსენების ვიზუალური გაფორმება:	0, 1, 2, 3, 4
• თანხლებული სლაიდებით სრულად ასახავს პრეზენტაციის შინაარსს.	4
▪ თანხლებული სლაიდებით პრეზენტაციის შინაარსი ნაწილობრივ არის გაშუქებული.	3
▪ სლაიდები კარგად არ არის გაფორმებული და შინაარსი ნაწილობრივ არის ასახული.	2
▪ სლაიდები არ არის კარგად გაფორმებული, და შინაარსს პრაქტიკულად არ ასახავს	1
▪ სლაიდები ძალიან არაინფორმატიულია ან არ არის თანხლებული სლაიდებით	0

დიკუსიის უნარი:	0, 1, 2, 3, 4
დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხებიდან ირკვევა შემდეგი:	
▪ სტუდენტი კარგად იცნობს და კარგად ერკვევა მოცემულ საკითხში	4
▪ სტუდენტი იცნობს საკითხს, მაგრამ უჭირს ერთეულ კითხვაზე საუბარი;	3
▪ სტუდენტი იცნობს საკითხს, მაგრამ რამდენიმე კითხვაზე უჭირს პასუხის გაცემა;	2
▪ სტუდენტმა ცუდად იცის საკითხი და ვერ პასუხობს კითხვების უმეტესობაზე	1
• საკითხის ცოდნა ზედაპირულია, სტუდენტი ვერ პასუხობს დასმულ კითხვებს	0
გამოყენებული ლიტერატურული წყაროები:	0, 1, 2, 3, 4
▪ გამოყენებული ლიტერატურული წყაროები თანამედროვეა და წარმოადგენს სარწმუნო მტკიცებულებებს	4
▪ გამოყენებული ლიტერატურული წყაროები ძირითადად თანამედროვეა, ზოგიერთი წყარო არ არის სარწმუნო	3

▪ გამოყენებული ლიტერატურის მხოლოდ ნაწილია მოძველებული და არ არის სარწმუნო მტკიცებულება	2
▪ გამოყენებულია მხოლოდ რამდენიმე ლიტერატურული წყარო, რომელიც საკითხის განხილვისთვის არ არის საკმარისი	1
▪ გამოყენებული ლიტერატურა არ არის მოყვანილი	0
ჯამური შეფასება	0-20

რეფერატში ან პრეზენტაციაში აკადემიური სიყალბის (პლაგიატი, ფალსიფიკაცია და სხვ.) დადგენის შემთხვევაში, სტუდენტი შუალედური შეფასების ამ კომპონენტით არ შეფასდება.

სწავლების კურსი სრულდება გამოცდით – 40%.

გამოცდა ტარდება დეპარტამენტში ტესტური სახით. თითოეული ტესტური ბილეთი შეიცავს 40 ტესტს, ყოველი სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

სტუდენტის საგამოცდო შეფასება დადებითია, თუ მის მიერ გამოცდაზე მიღებული ქულა ტოლია ან აღემატება ოცდაოთხ ქულას (მაქსიმალური შეფასების 60%).

სტუდენტების ცოდნის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

შეფასების სისტემით დაშვებულია:

ა. ხუთი სახის დადებითი შეფასება

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა;

ბ. ორი სახის უარყოფით შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.

სტუდენტუნტი გამოცდაზე არ დაიშვება, თუ სემესტრის განმავლობაში მას დაგროვილი აქვს 11 ქულაზე ნაკლები.